ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2170883

ნომერი: AR1337921

თარიღი : 27.08.2015

გაცემის თარიღი : 02.09.2015

გაცნობის თარიღი : 02.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , I და II მ/რ-ებს შორის , (ნაკვ. 13/8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ადამოვი პ/ნ 01033000531
- თბილისი ქიზიყის ქ. N 11 ბ. 13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1), რომელშიც დადგენილია განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.7. საკადასტრო გეგმის მიხედვით ტერიტორიაზე განთავსებულია #1/3 შენობა/ნაგებობა რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით არის 1404 კვ.მ. არსებული მდგომარეობით კ1 კოეფიციენტი გადაჭარბებულია. შესაბამისად პირველ ეტაპზე საკითხი უნდა დააყენოთ ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე, კ1-კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით. ამისათვის ელექტრონულ განცხადებებში უნდა აირჩიოთ „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, შემდეგ „ქალაქგეგმარებითი პარამეტრების გაზრდა“ და ა.შ. ხოლო "დამატებითი დოკუმენტაციის" ველში ატვირთულ იქნას მერის განკარგულება.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.